პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ
И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР
И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 იანვარი, კვირა, 1985 წ.
№ 9 (7820) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს სპორტკომიტეტის ვაკის ზამთრის საცურაო აუზში მიმდინარეობს წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის I წრის II ტურის მატჩები, რომლებშიც მონაწილეობენ ხარკოვის „ლოკომოტივი“, ტაშკენტის „მეხნატი“, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, კიევის „დინამო“, „მოსკვიჩი“ და თბილისის „დინამო“. ჩემპიონატში მონაწილე სხვა გუნდები ცსკ ვმფ, ლვოვის „დინამო“, მოსკოვის „დინამო“, ლენინგრადის „ბალტიკა“, ალმა-ათის „დინამო“ და კაფ ბაქოში ატარებენ შეხვედრებს.

მასალა თბილისის ტურის მატჩების შესახებ იხილეთ გაზეთის მე-2 გვერდზე.



თბილისის საფარიკაო დარბაზში დამთავრდა მოფარიკავეთა საკავშირო ტურნირი ჟურნალ „მართვეს“ პრიზზე. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის 200-მდე ნორჩი მუშკეტერი მონაწილეობდა. ყველაზე უკეთ მასპინძლებმა იასპარეზეს, რომლებმაც ორ ასაკობრივ ჯგუფში გამართული პროგრამის 12 სახეობიდან შვიდში პირველი ადგილი დაიკავეს.

მასალა ამ შეჯიბრების შესახებ იხილეთ გაზეთის მე-3 გვერდზე.



მწვანე მაუდქვეშ ნუ ამოვდებთ

სპორტი და მეურნეობა განუყოფელი ცნებებია. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რამდენი მოედანი, სტადიონი, აუზი, დარბაზი სჭირდება ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას, რამდენი ინვენტარი, იარაღი, ტანსაცმელი და სხვა ათასი წვრილმანი... ყველაფერი ეს მოსავლელია, მისახედია, ყოველივე წლიდან წლამდე განახლებას, ზოგჯერ გადასხვაფერებასაც მოითხოვს, რათა საათივით აწყობილი რთული მექანიზმი შეუფერხებლად და ეფექტიანად ემსახუროს იმ უმნიშვნელოვანეს დარგს, რომელსაც ერის ფიზიკური სიმრთელე და სიჯანსაღე აბარია. ამ დიდ საქმეში წვრილმანი არაფერი არ არის — ყველაფერი მნიშვნელოვანი და საჭიროა, ყოველივეს თავ-თავისი ფუნქცია აქვს დაკისრებული. ჩონგურისა არ იყოს, ერთი სიმი რომ გაწყდეს, ეს მთელ სპორტს აყენებს ხოლმე ზიანს. ამიტომ საკითხი, რომელიც მკითხველთა სამსჯავროზე გამოგვაქვს, ჩვენი ღრმა რწმენით, ყურადღებას იმსახურებს.

ალბათ, რაც ჩვენი სპორტი არსებობს, იმდენი ხანია ვლაპარაკობთ ბაზების უკმარობაზე. განსაკუთრებით „მოდაში შემოვიდა“ გაუთავებელი მსჯელობა ამ თემაზე ბოლო ხანებში. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ ზოგიერთ მწვრთნელ-სპეციალისტს ამ საკითხზე საუბარი ხელსაც აძლევს: მარადიული თემა ანუ ბაზების ნაკლებობა მართლაც ურიგო მიზეზ-საბაბი არ არის მათთვის საკუთარი უუნარობისა და პასიურობის გასამართლებლად. ისე კი, თუ სიმართლეს ვიტყვით, შეუფარავ სიმართლეს, ბაზების ნაკლებობა მუდამ იქნება, რადგან სპორტი ერთ ადგილს არ ტკეპნის, გამუდმებით ვითარდება და ამის კვალობაზე ნიადაგ სულ უფრო და უფრო მეტ ბაზას თხოულობს. ეს ობიექტური და კანონზომიერი პროცესია და, უნდა ითქვას, რომ სახალხო მეურნეობა ზოგჯერ რაღაცას იკლებს კიდეც იმისათვის, რომ ფიზკულტურასა და სპორტს მეტი უწილადოს და შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად იზრუნოს ახალი, თანამედროვე ბაზების მოწყობისთვის. საამისო მაგალითები თვალწინა გვაქვს, ყველა ვხედავთ და, ვფიქრობთ, მათი წვრილად ჩამოთვლა საჭირო არ უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, უკვე ნათქვამს ვუბრუნდებით — სპორტული ბაზების უკმარობა ობიექტური მიზეზებით შეიძლება აიხსნას და ეს გაუთვალისწინებელი არ უნდა დაგვრჩეს ჩვენი მუშაობის დაგეგმვისას, მაგრამ იმას რაღა დავარქვათ, როცა ძალიან ბევრგან (ამას მკითხველი სულ მალე შეიტყობს ჩვენი გაზეთიდან) არსებული ბაზები ცუდ დღეშია, ან ნაკლებად იყენებენ დანიშნულებისამებრ, ან საერთოდ ჩაშლილია მუშაობა? ბაზების გამოუყენებლობა მიუტევებელი შეცდომა და დანაშაულიც კია იმ დროს, როცა ობიექტურად მართლაც გვიჭირს. ჩვენ არც ისე მდიდრები ვართ და არც ისე განებივრებულნი სპორტული ნაგებობებით, რომ დარდიმანდულად ქარს გავატანოთ მათი მადლ-სიკეთე და ათასობით სპორტსმენს ფაქტიურად გადავუკეტოთ მათკენ მიმავალი გზა. არაფერია იმაზე საცოდავი სანახავი, ვიდრე მოუვლელი და მიგდებული სპორტული ბაზა, სარბიელი, რომლის კარსაც დიდი ურდული ადევს.

აი, ამ საკითხზე ფართო საუბრის წამოწყებას აპირებს „ლელო“ და ამთავითვე ჩვენი საზოგადოებრიობის მხარდაჭერის იმედი აქვს, რადგან, ეს საქმე თითოეული ჩვენგანის შვილების, ახლობლების, საერთოდ, ყველა ფიზკულტურელისა და სპორტსმენისთვის სასარგებლო და საჭირო საქმედ ესახება. მართლაც, თუ უმოქმედო ბაზებს სიცოცხლე და ხალისი არ დავუბრუნეთ, ძნელი იქნება იმ ლაშქრობის წარმატებით დაგვირგვინება, რომლის მიზანია ქართული სპორტის მოწინავე პოზიციებზე გაყვანა.

დასაწყისისათვის კი ურიგო არ იქნებოდა, თუ არსებულ ბაზებს სხვასაც მივუმატებდით. მაინც, საიდანო, იტყვის კაცი, ვფიქრობთ, ამ საქმეში დიდად დაგვეხმარებოდა სასკოლო დარბაზების უკეთ გამოყენება. დამთავრდა გაკვეთილები, მოსწავლეები სკოლიდან შინ მიეშურებიან. მათი წასვლისთანავე ბევრ სკოლაში იკეტება ფიზკულტურის დარბაზიც და მეორე დღემდე იგი უმოქმედოდაა. რა თქმა უნდა, ზოგან მოქმედებს ნორჩთა და მოზარდთა სპორტული სექციები, მაგრამ არა ყველგან; ბევრგან ამ დარბაზებში არავინ ვარჯიშობს. — არადა, ეს ხომ ფაქტიურად ის გაფლანგული სიმდიდრეა, რომელიც კარგად მოფიქრებული და ორგანიზაციულად უნაკლოდ რეალიზებული გეგმით შეგვეძლო ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის დამატებით რეზერვად გვექცია. ეს განსაკუთრებით დიდ დახმარებას გაუწევდა დედაქალაქის ახალ უბნებსა და მიკრორაიონებში მცხოვრებ ყმაწვილებს, რომლებიც ჩაებმებოდნენ სასკოლო დარბაზების ბაზაზე შექმნილ სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში. ეს მოსაზრება სულაც არ არის უტოპია — რესპუბლიკაში ბევრი დარბაზი უკვე ასრულებს ამ ფუნქციას. ერთი სიტყვით, ლაპარაკია იმაზე, რომ არც ერთი სპორტული დარბაზი, არც ერთი ღია მოედანი არ უნდა მოვაცდინოთ, ყველა ეს ბაზა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, განსაკუთრებით ჩვენი ნორჩი თაობის ჯანმრთელობისა და სპორტული დაოსტატებისათვის.

სპორტი თავისი ბუნებით ოპერატიულია, სწრაფია, მოუთმენელიცაა და, მოდით, ვისაც ზემოთ ნახსენები პრობლემების გადაჭრა გვევალება, თუკი აზრი მოსაწონია, დიდხანს ნუ ამოვდებთ მწვანე მაუდქვეშ.

რეპლიკა

რაშია საქმე, ვინ გვიპასუხებს?

● ბედი მომე და... ● ფრენბურთი — მძლეოსნების საყვარელი სახეობა ● მანეჟს არემონტებენ... ზამთარში

ცხოვრებაში ყოველთვის როდი წყალობს ბედი ადამიანს. მოხდა ისე, რომ ჩვენ, ჩვენდა უნებლიეთ, იმ ადამიანთა შორის აღმოვჩნდით, რომელთაც, ბედნიერ ფეხზე ამდგართ, ბედნიერ დამთხვევას უმზადებს განგება. ეს ამბავი გუშინწინ, 1985 წლის 11 იანვარს, საღამოს 7 საათზე მოხდა ვაკის მძლეოსნურ მანეჟში. საქმე ის არის, რომ მანეჟში იმ დღეს მძლეოსნების ერთადერთი ჯგუფი მეცადინეობდა, როგორც ჭაბუკ მორბენალთა მწვრთნელმა იგორ მინეევმა გვითხრა, მისი ჯგუფი წელიწადში არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ ერთხელ თამაშობს თურმე ფრენბურთს.

წინა დღეს ან სხვა დროს რომ შევსულიყავით მანეჟში, ხომ გავუშვებდით ხელიდან ამ უნიკალური სანახაობის ხილვის შესაძლებლობას, ვერ ვნახავდით როგორ თამაშობენ სიმაღლეზე ხტომის თამასით გაყოფილ „მოედანზე“ მძლეოსნები ფრენბურთს. თუმცა, ბედი რომ გვქონოდა, ფრენბურთელების ვარჯიშზე მისულნი იქნებ ფრენბურთის ბადესთან სიმაღლეზე ხტომაში მოვარჯიშე ფრენბურთელებსაც გადავყროდით.

შეიძლება ვინმემ გვისაყვედუროს: თქვე კაი ხალხო, მერე რა მოხდა, მძლეოსნებს ფრენბურთის თამაში ვინ აუკრძალაო. კი ბატონო, რა თქმა უნდა, შეიძლება მძლეოსანმა ფრენბურთიც ითამაშოს, ხელბურთიც და კალათბურთიც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ იგი იმ დღის მეცადინეობის გეგმაშია შეტანილი. საქმე ის არის, და ჩვენც ის გვაწუხებს, რომ მძლეოსნებს ბოლო დროს განსაკუთრებით შეუყვარდათ ბურთი და მოედანი. მწვრთნელს აქ ნაკლები ენერგია ეხარჯება, ილეთების, ცალკეული მოძრაობების დახვეწაზე, დატვირთვის დოზირებაზე თავის მტვრევას ის არ ჯობია მიუგდო ბურთი ბავშვებს და, თუ გუნებაზე ხარ, თავადაც გაერიო შენს აღსაზრდელებში?.. მწვრთნელთა ასეთმა „ალტკინებამ“ სადამდე მიიყვანა ჩვენი მძლეოსნობა, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ეს თქვენც კარგად გეცოდინებათ.

მძლეოსნობის მანეჟი თბილისში სულ ორი გვაქვს. გახსოვთ, იყო დრო, მწვრთნელები საყვედურებით გვიკლებდნენ: ზამთარში ვარჯიშის პირობები არა გვაქვსო. ახლა კი... იმ დღეს, 1985 წლის 11 იანვარს, საღამოს 7 საათზე მანეჟში იმ „მძლეოსან-ფრენბურთელთა“ გარდა მხოლოდ განათლების სამმართველოს კომპლექსური სპორტული სკოლის რეგბისტთა გუნდი მეცადინეობდა. თავი იმართლეს, მანეჟში რემონტი არ დამთავრებულაო. ვერაფერი ლოგიკაა. თუკი რეგბისტები ვარჯიშობდნენ, მძლეოსნებს ვითომ გაუჭირდებოდათ? თანაც, ზამთრის დახურული მანეჟის შეკეთება-რემონტი რაღა მაინცდამაინც ზამთარში დაიწყეს?

რაშია საქმე, ვინ გვიპასუხებს?

„ლელოს“ რეიდი.

გასული წლის 27 დეკემბერს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი სათაურით: „სტუდენტური კალათბურთი ანუ მეორე გუნდის პრობლემა“, რომელშიც ლაპარაკი იყო სპორტის ამ პოპულარული სახეობის წინაშე მდგარ საჭირბოროტო ამოცანებზე. წერილში დასმულმა პრობლემებმა ქართული კალათბურთის სპეციალისტთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. დღეს გთავაზობთ თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ჯანსუღ ბაგრატიონის გამოხმაურებას ამ თემაზე. იხ. მე-2 გვ.

გამოხმაურება წერილზე: „სტუდენტური კალათბურთი, ანუ მეორე გუნდის პრობლემა

მეორე გუნდის პრობლემა ძველი და გაცვეთილი თემაა ჩვენს სპორტში. მეორე გუნდი ფეხბურთში, მეორე გუნდი კალათბურთში... მეორე გუნდი, საერთოდ, კარგ და დალაგებულ ცხოვრებას ნიშნავს, წლების მანძილზე სწორედ და გეგმაზომიერად წარმართულ მუშაობას. მეორე გუნდი, ამავე დროს, მყარი და საიმედო პერსპექტივის გარანტიაც არის, — რეზერვის უშრეტი წყარო.

მეორე გუნდის გარშემო აზრთა ჭიდილი და სხვადასხვაობა, ჩვენს სპორტში, სამწუხაროდ, მუდამ იყო. შეგვიძლია თუ არა ჩვენივე რეზერვებით, სხვების დაუხმარებლად ორი დაახლოებით თანაბარი სიძლიერის გუნდის მოვლა-პატრონობა? ეს გახლდათ გაუთავებელი დავის შეფარული მხარე, თორემ არსებითად, დასამალი რაა — კამათს უფრო საუწყებო ხასიათი ჰქონდა. სამწუხაროდ, ხმამაღლა ამაზე არავინ ლაპარაკობდა.

ცხოვრებამ თავად გასცა პასუხი მთავარ კითხვას — ვისი პოზიცია იყო ამ დავაში უფრო მართებული. ყოველ შემთხვევაში ახლა ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ორი გუნდის მომხრეები უფრო რეალურად აფასებდნენ ვითარებას და უფრო შორსაც იხედებოდნენ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, იმას არ ვამტკიცებთ, თითქოს საქართველოში თბილისის „დინამოს" გარდა კალათბურთელთა სხვა კოლექტივი არ არსებობდეს. გუნდი არის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მისი არსებობის შესახებ სხვა უფრო ზუსტი ცნობები არ გაგვაჩნია (სად თამაშობს, ვინ წვრთნის, რომელ ორგანიზაციას ეკუთვნის და ა. შ. და ა. შ.)

საქართველოს მეორე გუნდმა კარგა ხანია დატოვა უმაღლესი ლიგა—ეს კარგად გვახსოვს. გვახსოვს ისიც, რომ ერთხანს იგი პირველ ლიგას იყო შეფარებული. მერე მასაც დაემშვიდობა და ახლა უფრო დაბალ ლიგაში მხოლოდ იმისთვისღა იბრძვის, რომ თავი შეახსენოს გულშემატკივრებს. სამწუხაროდ, ამ კეთილშობილურ განზრახვას აღსრულება არ უწერია. ყოველ შემთხვევაში, მივიწყებული გუნდის დღევანდელი მდგომარეობა იმას უფრო გვაფიქრებინებს, რომ პირველ ლიგაში დაბრუნება დიდხანს არ მოხერხდება.

ერთ დროს აყვავებული მეორე გუნდის ასეთმა უკუღმართმა ბედმა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა მთელს ქართულ კალათბურთს და, პირველ ყოვლისა, მის ფლაგმანს — თბილისის „დინამოს". ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ძველი პრობლემა ისევ დადგა დღის წესრიგში, ოღონდ ამ ეტაპზე მის წარმატებით გადაჭრას გაცილებით უფრო დიდი დრო, მეტი ინიციატივა და მოქნილობა სჭირდება.

რა გზით უნდა მოხდეს დარღვეული წონასწორობის აღდგენა? როგორ უნდა გარდაიქმნას მუშაობა? რა კონკრეტული სირთულეების გადალახვა იქნება საჭირო უახლოეს პერიოდში? ეს და სხვა მსგავსი პრობლემები წამოსწია წინ ამას წინათ ჩვენმა გაზეთმა წერილში „სტუდენტური კალათბურთი ანუ მეორე გუნდის პრობლემა". მოსაზრება, რა თქმა უნდა, ბევრია — ზოგი კონკრეტული და პრაქტიკული, ზოგიც პრობლემური. ანგარიში ყველას უნდა გაეწიოს და ჩვენც ნებისმიერ პოზიტიურ მოსაზრებას სათანადო დროსა და ადგილს დავუთმობთ, ვინაიდან გვწამს, რომ ქართული კალათბურთის სატკივარს ყველაზე უკეთ კალათბურთის სპეციალისტები და გულშემატკივრები მოუვლიან.

დღეს „ლელოს" მკითხველთა ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგება თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, წარსულში ცნობილი ხელბურთელი და ქართული კალათბურთის ერთ-ერთი თავგამოდებული ქომაგი ჯანო ბაგრატიონი.

ჩვენი საერთო სატკივარი

● თქვენი აზრით, შექმნილ ვითარებაში რა უნდა დავისახოთ უპირატეს მიზნად?

— პირველ ლიგაში დაბრუნება ყველა ღონით, ყველა ძალითა და საშუალებით. ეს ჩვენი კალათბურთის უმთავრესი პრობლემაა.

● ეს პრობლემა ალბათ ადრეც იდგა დღის წესრიგში. თუ არსებობს კონკრეტული საშუალებები დასახული მიზნის მისაღწევად?

— საშუალება ერთია: თავიდან უნდა დავიწყოთ ყველაფერი. ვიცი, რომ ამას დიდი დრო და მოთმინება დასჭირდება, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჩიტი ბდღვნად ღირს.

● თქვენ ბრძანეთ, თავიდან უნდა დავიწყოთ ყველაფერიო, რას გულისხმობთ?

— მეორე გუნდი, რომელიც ასე აკლია ჩვენს კალათბურთს, უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დღესდღეობით არსებული კოლექტივის ბაზაზე. სხვა უმაღლეს სასწავლებელს, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ამისი არც უნარი შესწევს და არც გამოცდილება.

● საინტერესოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თუ გაიზიარებენ ამ მოსაზრებას?

— ჩემთვის, როგორც ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარისთვის, გამორჩეული სასწავლებელი არ არსებობს (წმინდა სპორტული თვალსაზრისით). მე პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამოვდივარ და უპირატესობას იმ უმაღლეს სასწავლებელს ვანიჭებ, რომელსაც ერთხელ უკვე ჰყავდა ასეთი გუნდი და როგორც მახსოვს, საკმაოდ კარგადაც უვლიდა. უნივერსიტეტს შესაძლოა აქვს კიდეც უპირატესობა სპორტის სხვა სახეობებში, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, კალათბურთელთა მეორე გუნდი სწორედ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უნდა აღორძინდეს, სადაც ამისთვის მეტი და უფრო რეალური პირობები არსებობს.

● არის თუ არა გარანტია, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც არ გამეორდება ძველი სურათი?

— ჩემი პასუხი ამ შეკითხვაზე ოდნავ რეტროსპექტული იქნება. ალბათ ყველას კარგად გახსოვთ, რომ საქართველოს მეორე გუნდს წლების მანძილზე თავკაცობდა ჩვენი კალათბურთის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი სპეციალისტი, დაკვირვებული მწვრთნელი და ჩინებული აღმზრდელი მიხეილ კეკელიძე. თბილისის „ბურევესტნიკის" ყველა მაშინდელი წარმატება სწორედ მის სახელთან იყო დაკავშირებული. მიხეილ კეკელიძის შემდეგ გუნდი ვერა და ვერ გაიმართა წელში. დარწმუნებული ვარ, ახალი გუნდი გამოცდილი და საქმეში კარგად ჩახედული მწვრთნელის გარეშე ვერ შეიქმნება.

● მერე და ამ რანგის მწვრთნელად ვინ მიგაჩნიათ?

— მე ჯერ ბოლომდე არ მითქვამს ჩემი სათქმელი. მიხეილ კეკელიძე ალბათ, გახსოვთ, ბავშვების რამდენიმე ჯგუფსაც ავარჯიშებდა. ეს ის ჯგუფები იყო, სადაც თავს იყრიდა ნორჩთა კალათბურთის მთელი ნაღები. აქედან მიიკვლევდნენ გამორჩეული ჭაბუკები გზას ინსტიტუტის მთავარი გუნდისკენ. როგორც ხედავთ, არსებობდა კარგად მოფიქრებული და წლების მანძილზე აპრობირებული სისტემა პერსპექტიულ კალათბურთელთა შერჩევა — დამაგრებისა.

● ამ სისტემაში, ჩვენც კარგად გვახსოვს, ყოველ რგოლს გამოცდილი ხელმძღვანელი ჰყავდა. ახლა თუ არიან ასეთი ენთუზიასტები?

— ბავშვთა კალათბურთს მაშინ მართლაც გამოცდილი აღმზრდელები ხელმძღვანელობდნენ. პიონერთა სასახლეში ასეთი ხელმძღვანელი თამარ გეგელაშვილი იყო, უნივერსიტეტში — შალვა დიასამიძე, 26 კომისრის სახელობის რაიონში —სურენ ოგანეზოვი, ქუთაისში — სულიკო თორთლაძე, ბათუმში — ტატიანა სერგიაშვილი, სოხუმში — ალექსანდრე სედოვი. ზოგის გვარი შესაძლოა გამომრჩა კიდეც, მაგრამ ამჯერად უფრო მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მაშინდელ სპეციალისტებს ქართული კალათბურთის ინტერესები პირადი ღირსების საქმედ მიაჩნდათ და ყველას თავისი წვლილი შეჰქონდა მის წინსვლაში. უწყებრივი კინკლაობისა და შენ-ჩემობის ნაცვლად ბავშვებსაც ზრდიდნენ და მაღალი კლასის კალათბურთელებსაც ამზადებდნენ.

● ისევ მწვრთნელის საკითხს დავუბრუნდეთ, მით უფრო, რომ ეს საკითხი თქვენ პრობლემათა პრობლემად მიგაჩნიათ...

— ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრაზე მოვიდა ახალი ხელმძღვანელი — გურამ მინაშვილი. მას, ვფიქრობ, მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. რადგან შევთანხმდით, რომ საბაზო გუნდად პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ამჟამად არსებული კოლექტივი უნდა გადაიქცეს, მწვრთნელის საკითხიც გადაწყვეტილად შეიძლება ჩავთვალოთ. ყოველ შემთხვევაში, უკეთესი კანდიდატურის დასახელება აშკარად გამიჭირდება. რა მაგალითს მისცემს გურამ მინაშვილი ახალგაზრდა კალათბურთელებს, ვფიქრობ, ყველა კარგად ხედებით.

● ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ საბაზო გუნდის ხელმძღვანელი უარმიო გენერალს დაემსგავსოს? მით უფრო, რომ ინსტიტუტში მოსულს კალათბურთის თამაშს ვერ ასწავლი — იქ ზრდადასრულებული ახალგაზრდა მოდის. თქვენი აზრით, საიდან უნდა მიიღოს შევსება საბაზო გუნდმა?

— არსებობს ორი რეალური გზა. პირველი ისევ და ისევ ბავშვთა კალათბურთია, სადაც საკმაოდ ავტორიტეტული და გამოცდილი სპეციალისტები მუშაობენ. მე მხოლოდ მათ გვარებს ჩამოვთვლი, დასკვნა კი თვითონ გააკეთეთ: ლევან ჩხიკვაძე, ლევან ინწკირველი, ალექსანდრე კილაძე, გიორგი ავალიშვილი, სხვები და სხვები. ახლა ახალგაზრდა მწვრთნელებიც გაიხსენეთ. მათ არც მონდომება აკლიათ, არც უნარი. საჭიროა მხოლოდ ამ რეალური ძალის მობილიზება, დარაზმვა, ერთი სურვილითა და იდეით ანთება.

● მეორე გზა რომელიღაა?

— მეორე და აუცილებელი გზა საქართველოს მთავარ გუნდთან მჭიდრო და საქმიანი კონტაქტი. „დინამო" მეორე გუნდის გარეშე ისეთივე უხერხემლო ძალაა, როგორიც შეიძლება გახდეს მეორე გუნდი ამ კონტაქტის გარეშე. „დინამოს" ჰყავს ის „ხელუხლებელი რეზერვი", რომელიც ჰაერივით დასჭირდება საბაზო გუნდს ამ ეტაპზე. მერე კი ვალის დაბრუნებაზეც შეიძლება ფიქრი, ოღონდ ახალი შევსების ხარჯზე. სასურველ შედეგს მხოლოდ ასეთი კავშირი გამოიღებს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ „დინამო" სხვა ორგანიზაციაა, პოლიტექნიკური ინსტიტუტი კი—სულ სხვაა. მაგრამ ეს მხოლოდ უწყებრივი თვალსაზრისით. საქმე ორივეს ერთი აქვს და ამიტომაც რესპუბლიკის ინტერესი ყველა სხვა ინტერესზე უფრო მაღლა უნდა დააყენონ.

● ერთი შეკითხვა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს: როგორ გესახებათ თქვენი წვლილი ამ საქმეში, ქალაქის სპორტკომიტეტიც ხომ ვალშია ქართული კალათბურთის წინაშე?

— რა თქმა უნდა, ვალშია და ყოველმხრივ ცდილობს ამ ვალის გადახდას. ჩვენ პირველ ყოვლისა მიზნად დავისახეთ სტუდენტური კალათბურთის აღორძინება, რომელსაც ჩვენს ქალაქში დიდი და ლამაზი ტრადიცია ჰქონდა. ალბათ გახსოვთ, როგორი ზეიმი იყო სტუდენტური კალათბურთის დღეებში კიროვის პარკში, რამდენი გუნდი გამოჰყავდა თითოეულ სასწავლებელს, როგორ ინტერესს იწვევდა ყოველი მატჩი, რამდენი მაყურებელი ესწრებოდა ამ თამაშებს. ტრადიციის აღდგენა საგრძნობლად გამოაფხიზლებს უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ ცხოვრებას, ამაში ღრმად ვართ დარწმუნებული და ამიტომაც წლევანდელ სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარში უყოყმანოდ შევიტანეთ ასეთი ტურნირი. ცხადია, გუნდების რიცხვი შევამცირეთ, მაგრამ დასაწყისისთვის ისიც საკმარისი იქნება, თუ ყოველი სასწავლებელი ვაჟთა ორ და ქალთა ერთ გუნდს გამოიყვანს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ პირველ შეჯიბრებაში სამი, უკეთეს შემთხვევაში, ოთხი სასწავლებელი თუ მიიღებს მონაწილეობას. ოთხი იქნება? იყოს ოთხი. წლეულ ოთხი, გაისად ხუთი და ასე შემდეგ. ამბობენ, მადა ჭამაში მოდისო. ჩვენც სწორედ ამის იმედი გვაქვს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

წყალბურთის მოყვარულები მუდამ დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს თბილისის დინამოელთა მონაწილეობას ქვეყნის ჩემპიონატში. მოხდა ისე, რომ შარშან ქართული წყალბურთის ლიდერი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის IX ადგილზე აღმოჩნდა. ამ ფაქტმა, ცხადია, სერიოზული შეშფოთება გამოიწვია — გადახალისდა როგორც მოთამაშეთა, ისე მწვრთნელთა შემადგენლობა. ჯერ კიდევ ძნელია იმის განსაზღვრა, დაიბრუნა თუ არა გუნდმა თავისი სახე. თუმცა, შარშან შემოდგომაზე (თბილისელმა წყალბურთელებმა პირველად მოიპოვეს „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის ტიტული) და დეკემბრის მეორე ნახევარში ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონატის სტარტზე წარმატებული გამოსვლა გვაფიქრებინებს, რომ თბილისელი წყალბურთელები ისევ გავლენ მოწინავე პოზიციებზე.

„დინამო" იბრუნებს საკუთარ ხელწერას

11 იანვარს თბილისში გამართულ ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის მატჩში ჩვენს დინამოელებს საკუთარი მაყურებლისთვის უნდა დაემტკიცებინა რისი უნარიც აქვს ამ ეტაპზე. ამას იმიტომაც ვამბობთ, რომ აღორძინების გზაზე დამდგარი გუნდის შინ თამაშს ერთგვარი მღელვარება ახლავს თან, პასუხისმგებლობაც მეტია, მოსკოვის „მოსკვიჩი" კი სწორედ ის გუნდია, ვისთან მოგებაც მეტად საამაყო გახლავთ. გავიხსენოთ: 24 დეკემბერს, პირველ ტურში, „მოსკვიჩმა" როგორც იტყვიან, შავი დღე დააყენა ცსკ ვმფ-ის გუნდს — მოუგო 11:7.

მატჩი თბილისელებმა ტემპში, გააზრებული ტაქტიკური ვარიანტებით დაიწყეს. ჯერ 12 წამიც არ იყო გასული, რომ დინამოელებმა ელვისებურად აიღეს მეტოქის კარი. არბიტრმა გოლი არ ჩათვალა (წესის დარღვევა აღნიშნა), მაგრამ თბილისელები ამ ჩაუთვლელმა გოლმა საკუთარ ძალებში დაარწმუნა. ორი წუთის შემდეგ ისევ გია ზუმბულიძემ იმარჯვა — მატჩში პირველი გოლი გაიტანა. მერე კი მრავალსვლიანი კომბინაცია ზუმბულიძის შესანიშნავი გადაცემით რურუამ დააგვირგვინა — 2:0.

მეორე პერიოდში სტუმრებმა სახიფათოდ შეუტიეს მიხეილ გიორგაძის კარს და სერგეი ალექსახინმა ერთი ბურთი გაქვითა. წარმატებით ფრთაშესხმულმა „მოსკვიჩმა" მცირე ხნით სათამაშო უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ აქ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა ჩვენი მეკარე. დინამოელებმა რამდენიმე კომბინაციური შეტევა ვერა და ვერ დაასრულეს გოლით. და აი, როცა II პერიოდი იწურებოდა, შესანიშნავი ინდივიდუალური გასვლით ულამაზესი გოლი გაიტანა რურუამ. მეკარე ევგენი შარონოვისთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ რეაგირებაც კი არ უცდია. მესამე პერიოდიც ფრედ — 1:1 დამთავრდა (ჯერ იგორ პეროპოლკინმა გაიტანა გოლი, შემდეგ ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა გაქვითა იგი). ამ პერიოდის მოგება თბილისელებს შეეძლოთ, ზუმბულიძეს 4 მეტრიანი საჯარიმო დარტყმა რომ გამოეყენებინა.

როცა ბოლო პერიოდში ზუმბულიძე-კუტივაძის კომბინაცია გოლით დასრულდა, ჩვენი გუნდი შეეცადა შეენარჩუნებინა ანგარიში — 5:2, მაგრამ ეს პერიოდი ქართველმა წყალბურთელებმა 1:2 წააგეს, თუმცა საბოლოოდ მაინც დინამოელებმა იმარჯვეს — 5:4.

თენგიზ ბაჩიხილაძე.

გუშინ თბილისის „დინამომ" დაამარცხა ხარკოვის „ლოკომოტივი" — 8:5 (1:1, 3:2, 2:1, 2:1). დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: მოსკოვის „მოსკვიჩი" — კიევის „დინამო" — 6:5 (2:1, 0:1, 2:0, 2:3), მოსკოვის „უნივერსიტეტი" — ტაშკენტის „მეხნატი" — 19:11 (5:2, 6:1, 7:5, 1:3).

სპორტის დამსახურებული ოსტატის ნოდარ გვახარიას კომენტარი:

პირადად მე დინამოელთა თამაშით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა გაუძლ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას. ადრე, როცა 4 მეტრიანი ვე გაჰქონდათ, ხელს ჩაიქნევდნენ ხოლმე, ახლა კი პირიქით, მეტი ჟინი დ მონდომება გამოავლინეს. პერსონალურად ვერავის გამოვყოფ, მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა. ჩვენმა მწვრთნელებმა ჩინებულად უხელმძღვანელეს მატჩს. ირაკლი ჩხიკვაძე და ბორის მეგედი მუდამ დროულად და გონივრულად ცვლიდნენ მოთამაშეებს. თამაშიდან გამოჰყავდათ სწორედ ისინი, ვინც დაღლილი იყო. სხვათა შორის, ერთდროულად 2-2 მოთამაშის შე ვლამაც უდავოდ გაამართლა. ტაქტიკური ვარიანტებით, თამაშის საერთო დონით „დინამომ" მეტოქე აშკარად დაჯაბნა. აი, მეოთხე პერიოდში კ ჩვენმა ბიჭებმა სტილი შეცვალეს, პასიურად ითამაშეს და დაისაჯნენ კიდ ევაც. უნდა ითქვას, რომ თბილისის „დინამო", ლენინგრადის ტურიდა მოყოლებული დღემდე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა გასაკეთებე ლი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. განსაკუთრებით დიდი გარჯა მართებთ ა ალგაზრდებს — ასამაღლებელია სათამაშო კლასი, დასახვეწია სწრაფი გ დაცემები, დასამუშავებელია შუა და შორი მანძილებიდან კარში ტყორც ნები. ვფიქრობ, ამ ნაკლს ბიჭები მალე გამოასწორებენ, რაც მთავარი მწვრთნელები სწორ გზას ადგანან, ასე რომ, ჩემის აზრით, გუნდი მიზან აუცილებლად მიაღწევს.



საკავშირო სპორტკომიტეტში



ფეხბურთი -85

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგიამ ამასწინანდელ სხდომაზე განიხილა ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის შემდგომი განვითარებისა და 1985 წლის შეჯიბრებათა ორგანიზაციის საკითხი.

კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, რომ გასული, 1984 წლის საკავშირო ჩემპიონატისა და თასის მატჩების უმეტესობა მიმდინარეობდა საინტერესოდ, დაძაბულად, საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ გუნდებს შორის კონკურენცია დიდი იყო, ევროპის საკლუბო ტურნირებში წარმატებით ითამაშეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა", მოსკოვისა და მინსკის დინამოელებმა, საერთაშორისო შეჯიბრებებში კარგ შედეგებს მიაღწიეს საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა გუნდებმა, გაუმჯობესდა რეზერვების მომზადების ხარისხი.

აღინიშნა ისიც, რომ ბევრ გუნდში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაცია, სუსტად ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა (უფროსი მწვრთნელი ე. მალოფეევი), გუნდმა ვერ გამოავლინა საკმარისი ოსტატობა და ნებისყოფის სიმტკიცე.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგიამ ჩვენი ნაკრების მწვრთნელებს ამოცანად დაუსახა იზრუნონ გუნდის გაძლიერებაზე, ფეხბურთელთა ოსტატობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებაზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. საკლუბო გუნდების მწვრთნელებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ განუხრელად შესრულდეს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის დაწესებული მოცულობა, ამაღლდეს ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობა და მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადება.

დაისახა 1985 წლის საკავშირო შეჯიბრებათა გეგმებიც.

უმაღლეს ლიგაში წლეულს ითამაშებს 18 გუნდი: **„ზენიტი"** (ლენინგრადი), **„სპარტაკი"** (მოსკოვი), **„დნეპრი"** (დნეპროპეტროვსკი), **„ჩერნომორეცი"** (ოდესა), **„დინამო"** (მინსკი), **„ტორპედო"** (მოსკოვი), **„დინამო"** (თბილისი), **„ქაირათი"** (ალმა-ათა), **„ჟალგირისი"** (ვილნიუსი), **„დინამო"** (კიევი), **„არარატი"** (ერევანი), **„მეტალისტი"** (ხარკოვი), **„შახტიორი"** (დონეცკი), **ასკ** (დონის როსტოვი), **„ნეფთჩი"** (ბაქო), **„დინამო"** (მოსკოვი), **„ფაკელი"** (ვორონეჟი), **„ტორპედო"** (ქუთაისი).

უმაღლეს ლიგაში როგორც ძირითადი გუნდების, ისე დუბლიორთათვის შეჯიბრება ჩატარდება 2 წრედ.

I **ლიგაში** ითამაშებს 22 გუნდი, გათამაშება ჩატარდება 2 ეტაპად. კლუბები თავდაპირველად იასპარეზებენ 2 ზონაში (11-11 გუნდი თითოეულ ზონაში) 2 წრედ. თავიანთ ზონებში პირველ 6-6 ადგილზე გასული გუნდები (სულ — 12) შემდგომში შექმნიან „ა" ჯგუფს, ხოლო დანარჩენი 10 გუნდი — „ბ" ჯგუფს. თამაშები აქაც 2 წრედ ჩატარდება.

სათადარიგო გუნდები I ლიგაში წლეულს გაუქმებულია.

გუნდები, რომლებიც 1985 წლის საკავშირო ჩემპიონატში დაიკავებენ მე-17 და მე-18 ადგილებს, შემდგომი წლისთვის გადავლენ I ლიგაში, ხოლო კლუბები, რომლებიც უმაღლეს ლიგაში დაიკავებენ მე-15 და მე-16 ადგილებს, აგრეთვე I ლიგაში პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან 2 წრედ და ამ 4 გუნდის ტურნირში I-II ადგილებზე გასულნი 1986 წელს მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატში.

I ლიგაში მე-20, 21-ე და 22-ე ადგილებზე გასული გუნდები, აგრეთვე, II ლიგის საკავშირო ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული 9 გუნდი (სულ — 12) 3 ჯგუფურ ტურნირში გაითამაშებენ 3 საგზურს 1986 წელს I ლიგაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგია დაეთანხმა ფეხბურთის სამმართველოსა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის წინადადებას 1986–1988 წლებში სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი უმაღლეს ლიგაში ჩატარდეს 16 გუნდის მონაწილეობით, ხოლო I ლიგის პირველობა — 24 გუნდის მონაწილეობით.

II ლიგის ზოგიერთი გუნდი, რომლებმაც შარშან ვერ შეასრულეს საფინანსო გეგმები, 1985 წლის შეჯიბრებებზე არ დაიშვება.

1986 წლის საკავშირო თასის გათამაშება ჩატარდება 2 ეტაპად უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების 74 გუნდის მონაწილეობით.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს და ფეხბურთის ფედერაციას დაევალათ შეიმუშაონ საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულება და კალენდარი.

საკავშირო შეჯიბრება „მართვეს" პრიზზე

რეზერვზეც უნდა ვიფიქროთ

ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს რაპირისტ გოგონათა ნაკრები წარმატებით დაწყებული გუნდური პირველობის ფინალში გამარჯვებას სათუოდ გაიხდიდა? მასპინძლები კიეველთა გუნდს უგებდნენ ანგარიშით 7:1, მაგრამ რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ეს უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა (10:10) და საჭირო გახდა ბრძოლის თავიდან დაწყება. და მაინც, ჩვენი გოგონების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი კრიტიკულ სიტუაციაში არ დაიბნენ. თავიდან ეკა ოძელაშვილმა დააწინაურა გუნდი. მართალია, მომდევნო ორთაბრძოლა კიეველმა სპორტსმენმა მოიგო (11:11), მაგრამ ნათია შათირიშვილმა მაინც შეძლო გამარჯვების მოპოვება (5:4) და ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები კვლავ დაწინაურდა (12:11). საინტერესო შეხვედრა წარმატებით დააგვირგვინა თბილისის 160-ე სკოლის მერვეკლასელმა მაია მათითაიშვილმა — მან დამაჯერებლად დაამარცხა (5:2) ოლგა მელნიკი და ჩვენი გუნდი ჟურნალ „მართვეს" პრიზზე გამართული საკავშირო ტურნირის ჩემპიონი გახდა. მის შემადგენლობაში, გარდა ზემოთ დასახელებული სპორტსმენებისა, ნანა ჯინჭარაძე და ქეთევან გაჩეჩილაძეც იყვნენ. მესამე ადგილზე გავიდნენ ერევნელი სპორტსმენები.

ხუთშაბათს ჩატარდა კიდევ ერთი გუნდური შეჯიბრება. ბილიკზე გამოვიდნენ დაშნით მოფარიკავენი. საქართველოს ნაკრებმა სომეხ თანატოლებთან წააგო — 8:13, თბილისის ნაკრებს კი სძლია ანგარიშით 13:9 და მესამე ადგილი დაიკავა. პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ერევნის წარმომადგენლებმა აჯობეს ლენინგრადელებს — 13:11.

დაშნით მოფარიკავეთა პირადი პირველობა, როგორც იცით, საქართველოს ნაკრების წევრის სერგეი დიშნიკის გამარჯვებით დამთავრდა. თბილისელი ჭაბუკი, რომელსაც ჯერ 15 წელიც არ შესრულებია, საკმაოდ იოლად გავიდა ფინალში. იგორ ვახროვის მოწაფემ ჯერ მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ევგენი ქუჩუკი დაამარცხა (10:5), შემდეგ ქუთაისელ ლევან ადეიშვილს აჯობა (10:7) და პირველი ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. მეორე ფინალისტმა, ლენინგრადის ჩემპიონმა, ქალაქის 83-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ვიაჩესლავ ისაჩენკომ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ჩვენს მოფარიკავეს. დიშნიკმა გაიმარჯვა (12:10). მესამე ადგილისთვის გამართულ შეხვედრაში ადეიშვილმა დაამარცხა თბილისელი გელა გოგისვანიძე — 10:7.

ფარიკაობის მოყვარულები კმაყოფილნი უნდა იყვნენ ჩვენი სპორტსმენების გამოსვლით. მასპინძლებმა უფროსი ასაკობრივ ჯგუფში ოთხივე სახეობაში პირადი პირველობა მოიპოვეს, ხოლო გუნდურ შეჯიბრებაში ოთხი ფინალიდან სამში გაიმარჯვეს. მათ ყველას აჯობეს საერთო გუნდურ პირველობაშიც, მაგრამ ამ წარმატებამ არ უნდა გაგვათამამოს. ჯერ ერთი, თბილისს სულ ხუთი გუნდი ეწვია, თანაც ეს გუნდები რესპუბლიკების კი არა, ქალაქების ან სპეციალიზებული სკოლების ღირსებას იცავდნენ. როგორც შეჯიბრებამ გვიჩვენა, რეზერვის საქმე საკმაოდ ცუდად გვქონია უმცროს ასაკში (1971-72 წლებში დაბადებულნი). ჩვენი ნორჩი მუშკეტერები ამ ტურნირში ბევრად ჩამოუვარდებოდნენ უფროსებს. მათ მხოლოდ ერთი ვერცხლის და ორიც ბრინჯაოს მედალი ხვდათ. როგორც ჩანს, სხვა რესპუბლიკებში გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ ნორჩ სპორტსმენთა ე. წ. „საფეხურებრივ" მომზადებას ასაკის მიხედვით. ასე რომ, ჩვენს მწვრთნელებს საფიქრალ-საზრუნავი ცოტა როდი აქვთ.

მართალია, უხერხულია ყოველ წერილში საფარიკაო ინვენტარისა და აღჭურვილობის ნაკლებობაზე ჩივილი, მაგრამ რა დროს დელიკატურობაა, როცა ჩვენს გოგონებს გუნდური პირველობის ფინალში ერთადერთი რაპირა ჰქონდათ და ისიც ერევნელებისაგან ითხოვეს.

შეჯიბრების შემდეგ სტუმრებს ვთხოვეთ გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილება ამ ტურნირის შესახებ.

გაგიკ ოჰანესიანი, ერევანი: შეჯიბრება ძალიან მოგვეწონა. მსგავსი ტურნირები (საკავშირო შეჯიბრებებს ვგულისხმობ) ჩვენთან არ ტარდება, ამიტომ სიამოვნებით მივიღეთ მასპინძელთა მოწვევა. არც მომავალში დავაკლდებით ამ ასპარეზობას.

ვალერი ახრამოვიჩი, ლენინგრადი: ტურნირმა ჩვენზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა: მასპინძლები კარგად შეგვხვდნენ. შეჯიბრების ორგანიზაციაც საუცხოო იყო, მაგრამ კარგი იქნებოდა მეტი გუნდი მოგეწვიათ. მაშინ ასპარეზობა გაცილებით საინტერესო გამოვიდოდა. გვაქვს ერთი თხოვნაც: კარგი იქნებოდა თუ გაისად ექსკურსიები მოეწყობა ქალაქის დასათვალიერებლად, რათა თბილისში პირველად ჩამოსული სპორტსმენები გულდაწყვეტილნი არ დარჩნენ.

ნონა პანჩენკო, ალმა-ათა: მასპინძელთა სტუმართმოყვარეობაზე და შეჯიბრების შესანიშნავ ორგანიზაციაზე უკვე ითქვა. მსაჯობაც ობიექტური იყო. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეჯიბრების ორ საფეხურად ჩატარებას — უფროსებისთვის და უმცროსებისთვის. მე, მაგალითად, 12-13 წლის მოფარიკავეებს ვავარჯიშებ. ამ ასაკის სპორტსმენებისთვის საკავშირო პირველობები უფრო იშვიათად იმართება და ბავშვებს ხშირად უფროსებთან უხდებათ ბრძოლა, აქ კი ისინი თანატოლებს ხვდებოდნენ.

ტრიფონ მეხხი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი: მართალი გითხრათ, გვეგონა შეჯიბრებაზე მეტი გუნდი ჩამოვიდოდა, მათ შორის ტაშკენტელი და ბაქოელი სპორტსმენებიც. შარშანდელი ტურნირი უფრო საინტერესო იყო, მაშინ პირველობისთვის 11 გუნდის წარმომადგენლები იბრძოდნენ. მომავალში დროულად უნდა დავიჭიროთ თადარიგი, რათა შეჯიბრებაში 12 გუნდი მაინც ჩაებას. კარგი იქნება, თუ თბილისში რესპუბლიკის გუნდებსაც მოვიწვევთ. სამართლიანია სტუმრების საყვედური. ექსკურსიებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა განზრახული გვქონდა, მაგრამ დრო აღარ დაგვრჩა — ბავშვები მთელი დღე დარბაზში იყვნენ. მომავალში ტურნირის ხანგრძლივობას ერთი-ორი დღით გავზრდით და მონაწილეთა გართობა-დასვენებაზეც ვიზრუნებთ.

გიორგი ჩოჩიშვილი.



ლიდერობს „ჰელასი"

იტალიის მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატში ლიდერობს არა რომელიმე დიდი ტრადიციების მქონე გუნდი, არამედ ვერონის „ჰელასი", რომელსაც ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინ სათვალავშიც არავინ აგდებდა. ეს გარემოება გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევს. ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა „ჰელასის" მწვრთნელი ოსვალდო ბანიოლი, რომელიც, იტალიელ ექსპერტთა თქმით, არც ელენიო ერერაა, არც ხესარ ლუის მენოტი და არც მიშელ იდალგო. გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს 49 წლის ბანიოლის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● რა ტაქტიკური სქემით თამაშობს „ჰელასი"?

— „ჰელასის" ყველა ტაქტიკური სქემა ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფია. ჩვენ ფეხბურთელებს სრულიად მარტივ „სქემას" ვაძლევთ: მეტი იმოძრაონ, მინდორზე გულხელდაკრეფილნი ნუ იქნებიან, ყველაფერი იღონონ გამარჯვებისთვის. რა თქმა უნდა, ზოგ რამეს წინასწარვე ვამუშავებთ, მაგალითად, როგორ უნდა მოვიქცეთ თავისუფალი და კუთხური დარტყმების დროს, სხვა სტანდარტულ სიტუაციებში.

● როგორი ფეხბურთელები გირჩევნიათ — ტექნიკურნი, ფიზიკურად ძლიერნი, თუ უნივერსალურნი?

— ის, რომ ბრიგელი და ელკიაერ-ლარსენი ვიყიდეთ, უკვე პასუხობს ამ კითხვას. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ აგრესიულ ფეხბურთელებს.

● „ჰელასი" თითქმის ყველა მატჩს უცვლელი შემადგენლობით ატარებს. გეყოფათ გამძლეობა სეზონის ბოლომდე?

— გაიხსენეთ სახელგანთქმული „ინტერი" ელენიო ერერას დროს. განა ისიც უცვლელი შემადგენლობით არ თამაშობდა? ჩემი აზრით, სწორედ ეს არის წარმატების წინაპირობა.

● როგორ გიჭირავთ თავი ფეხბურთელებთან?

— ბუნებით თავდაჭერილი კაცი ვარ, მაგრამ ვცდილობ, რამდენადაც შეიძლება, ფეხბურთელებთან გულღია ვიყო, თითოეულ მათგანს ავუხსნა, რა როლი ეკისრება კოლექტივში, რა უნდა გააკეთოს გუნდისთვის.

● ზოგი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ თქვენ იმდენად კარგი მწვრთნელი არა ხართ, რამდენადაც იღბლიანი. რას იტყვით ამაზე?

— თუ ასეა, ვისურვებდი დიდხანს ვყოფილიყავი იღბლიანი მწვრთნელი.

მასალა მოამზადა
გივი თხინვალელმა.

აჭარის ხუთ-ხუთი საუკეთესო

ტრადიციულად, ყოველი ახალი წლის დამდეგს აჭარის სპორტკომიტეტი ასახელებს ავტონომიური რესპუბლიკის წლის ხუთ-ხუთ საუკეთესო სპორტსმენსა და მწვრთნელს.

აჭარის 1984 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს კლასიკური სტილის მოჭიდავეები, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატები, დინამოელი **ჯემალ ბაკურიძე** და სპარტაკელი **თენგიზ თედორაძე**, ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის აღსაზრდელები, სპორტულ აკრობატიკაში სპორტის ოსტატები — **მზია კოხტავასა** და **ნატალია ვეტოშკინას** წყვილი; ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი და პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **რევაზ ჩელებაძე** და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი საგზაო ველორბოლაში **ჯონი ცივაძე** (ქობულეთი, „კოლმეურნე").

საუკეთესო მწვრთნელებად დაასახელეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები, ბათუმის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი **ვალერიან ჩხარტიშვილი** და **ათანასე ხევასტოვი** (კლასიკური ჭიდაობა), სპორტულ აკრობატიკაში აჭარის ნაკრების უფროსი მწვრთნელი **ნელი აფაქიძე**, აფროსნობაში რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი **ვალერი კალფა**, აჭარის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბადმინტონში **ვიქტორ მალიუტინი**.

ოთარ მურვანიძე.

სათხილამურო სპორტი

ბად-კლაინკირხჰეიმი (ავსტრია). სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპი (ქალებში) მოიგო შვეიცარიელმა მ. ფიგინიმ. სწრაფდაშვების ტრასა მან სარეკორდო მოკლე დროში — 1.41,72 გაიარა. მომდევნო საპრიზო ადგილებზეც შვეიცარიელი მოთხილამურეები გავიდნენ. ბ. დერტლიმ აჩვენა — 1.42,35, მ. ვალიზერმა — 1.42,58. საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა გ. სუნგატოვას — 1.45,11 (43-44 ადგილი).

რაუბიჩი. გრძელდება ქალთა შორის ევროპის თასის გათამაშება ბიატლონში. მეორე დისტანციაზე რბოლაში (5 კილომეტრი და ორი ცეცხლის ხაზი) ყველას აჯობა სვერდლოვსკელმა ელენა გოლოვინამ — 20.15,7.

ფარიკაობა

ყაზანი. გაიმართა ჭაბუკ მოფარიკავეთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები. ჭაბუკ რაპირისტთა შეჯიბრება ივანოველმა მ. ლაპშინმა მოიგო. გოგონებში უძლიერესი იყო ყაზანელი ე. შაგიევა. მისმა თანამემამულემ ს. ბლაგოვმა მოიგო ხმლით ფარიკაობა. დაშნით ფარიკაობაში კი ყველას მოსკოველმა ი. შარაფეევმა აჯობა.

ხელბურთი

ბონი. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი ამხანაგურ შეხვედრებს ატარებს გფრ-ში. პირველი შეხვედრა მან მოუგო „დიუსელდორფს“ — 30:22, მეორე კი „ნეტელშტედტს“ — 33:23. მეორე მატჩში საბჭოთა ხელბურთელთაგან თავი გამოიჩინეს ბელოვმა (5 გოლი) და დემიდოვმა (4).

ჭადრაკი

იუგოსლავიის ყოველკვირეულმა ჟურნალმა „სვიეტმა“, რომელიც სარაევოში გამოდის, პლანეტის 1984 წლის საუკეთესო მოჭადრაკედ მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი აღიარა. კონკურსის მონაწილე ჟურნალისტებმა მეორე ადგილზე გარი კასპაროვი დაასახელეს. უძლიერესთა ათეულში შეყვანილნი არიან აგრეთვე ალექსანდრე ბელიავსკი, მიხეილ ტალი და ლევ პოლუგაევსკი.

ინფორმაცია

გიგანტიზმის წინააღმდეგ

თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობაში ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენცია შეიმჩნევა. სპეციალისტების ერთი ნაწილი მხარს უჭერს პროგრამის გაზრდას და ბევრი ისეთი დისციპლინის დამატებას, ადრე პოპულარობით რომ არ სარგებლობდა.

მეორე ნაწილი, მათ შორის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობა, კატეგორიული წინააღმდეგია ასეთი „გიგანტიზმისა“. მათი აზრით, ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნებს არ უნდა მოახვიო თავს სპორტის ისეთი სახეობა, რომელიც ნაკლებად პოპულარულია. პროგრამის ასეთი დაუფიქრებელი გაზრდა, თავის მხრივ, თამაშებში მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობის ზრდას გამოიწვევს, რაც ახალ გაუთვალისწინებელ ხარჯებს მოითხოვს.

სოკ-ის ხელმძღვანელთა აზრით ოლიმპიურ თამაშებში, სტაბილურად, 10 ათასი სპორტსმენი უნდა გამოდიოდეს.

ახლა უკვე ვეღარაფერს იზამ. წამიერი უყურადღებობა, მოდუნება თუ მეტისმეტი თვითდაჯერება, რა თქმა უნდა, არ გაპატია მეტოქემ და... ხიბნული და ბოლმა ბურთივით გაგჩრია ყელში, კბილს კბილზე აჭერ, ვინ იცის, იქნებ სიმწრის ცრემლებსაც მალავ.

გარშემო არავინ არის. არადა, იცი, მალამოსავით მოგეცხებოდა თანაგუნდელის ხელის ერთი შეხებაც კი... სამწუხაროდ, მარტო დარჩი და მარტოხვე მოგიწევს საკუთარ თავთან გამკლავება.

გონების თვალით დაუსრულებლად ატრიალებ იმ საბედისწერო კადრებს. სადღაც შეცდი და ახლა გაფაციცებით ეძებ იმ შეცდომას! რაღაც გკარნახობს, რომ ახეა საჭირო, იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან, იქნებ ჯერ კიდევ შეიძლება ამ მატჩის გადარჩენა... ეხეც არ იყოს, ხომ დადგება ხვალინდელი დღე, კიდევ იქნება ახალი, სხვა მატჩები...

რამდენიმე წამის შემდეგ უთუოდ მიგატოვებს უილაჯობა, სასოწარკვეთას იმედი შეცვლის, მძიმედ წამოდგები, მძიმედ, თავდახრილი წახვალ კარისკენ და უკვე რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ იგრძნობ, როგორ გათბება და გაცოცხლდება დადუნებული ძარღვები, ძალამოცემული სისხლი ყინს შეგმატებს და როცა მინდვრისკენ შებრუნდები, აღარც მაისურის სახელოზე შემორჩენილ ხველ ლაქას მიაქცევ ყურადღებას და ისიც მშვენივრად გეცოდინება, რომ ბრძოლაა საჭირო...

არიან ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთი ხელწერით ყველასგან განსხვავდებიან და „მასაში“ არ ითქვიფებიან. სპორტის მოყვარულის თვალი მათ უმალ გამოარჩევს დანარჩენებისგან. სწორედ ასე ალვიქვით ორიგინალური ნორვეგიელი ფეხბურთელი ერიკ სოლერი, რომლის თამაშიც ამას წინათ ტელეეკრანზე ვნახეთ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის გუნდებს შორის.

ერთადერთი ესპანელი, რომელსაც ფეხბურთი არ აინტერესებს

სოლერი ოსლოში დიდი ხვეწნამუდარით ჩაიყვანეს საგანგებოდ ამ მატჩისთვის დასავლეთ გერმანიიდან, სადაც იგი „ჰამბურგში“ თამაშობს. მაინც რამ გააჯიუტა, რატომ არ უნდოდა ეროვნულ ნაკრებში თამაში?

თუ სოლერს ქვეყნის ნაკრების წამყვან მოთამაშედ მიიჩნევენ, იგივე როდი შეიძლება ითქვას „ჰამბურგზე“, სადაც ნორვეგიელმა სპორტსმენმა ჯერჯერობით მტკიცედ ვერ მოიკიდა ფეხი ძირითად შემადგენლობაში. პროფესიული ფეხბურთი, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიაში, რა თქმა უნდა, არ ჰგავს ნორვეგიულ სამოყვარულო ფეხბურთს. აკი სოლერის მაგალითიც ამაზე მეტყველებს.

მაშინაც, როცა ნაკრები თავისთან უხმობდა, სოლერს „ჰამბურგისა“ და ბილეფელდის „არმინიას“ მატჩში მონაწილეობა უფრო აინტერესებდა. ეს მის აქციებს უსათუოდ აამაღლებდა და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრების მეტ შანსსაც მისცემდა. მაგრამ იძალა ნორვეგიელთა მწვრთნელმა ფოსენმა, რომელმაც ყველა საშუალებას მიმართა სოლერის ოსლოში ჩასაყვანად. რა გაეწყობოდა, ახალგაზრდა ხუთუჭთმიანი ფეხბურთელი „იძულებული გახდა“ ნაკრებში ეთამაშა. ის, რაც უცნაური და ხშირად გაუგებარიცაა ჩვენთვის, როგორც ჩანს, დასავლეთში სხვაგვარად არის მიღებული და გაგებული...

ერიკ სოლერი, ნორვეგიული ფეხბურთის ვარსკვლავი, 24 წლისაა. „ჰამბურგამდე“ იგი ნორვეგიის „ლილესტრიომში“ თამაშობდა, მერე კი დასავლეთგერმანულმა კლუბმა 400 ათას მარკად იყიდა. კლუბის პატრონები მიიჩნევდნენ, რომ ნორვეგიელი ფეხბურთელისთვის მარჯვენა ნახევარმცველის ადგილი ზედგამოჭრილია, რომ სოლერს შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ევროპაში და მსოფლიოში ცნობილ გუნდს. „მე შემიძლია ვითამაშო ისე, როგორც შემიძლია“, — ამბობს სოლერი და ამ სიტყვების თამაშიდან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ჯერჯერობით სპორტსმენი უკმაყოფილოა ფეხბურთში თავისი ხვედრითა და მდგომარეობით. მისგან ალბათ უფრო მეტს მოელიან, რადგან სოლერი ნორვეგიიდან ჩამოიყვანეს არა სხვა რომელიმე ღირსების, არამედ სწორედ სიჩქარის გამო. „მე შემიძლია ბევრი სირბილი, შემიძლია საჭიროების შემთხვევაში შევენაცვლო კალცს, დავიკავო მისი ადგილი დაცვაში, ხოლო კალცი წინ გავისტუმრო საიერიშოდ“. სოლერს ძალიან მოსწონს ასეთი თამაში მთელ მოედანზე. ფეხბურთელი ოპტიმისტურად არის განწყობილი და ფიქრობს, რომ ძირითად შემადგენლობაში, კუთვნილი ადგილი ვერსად წაუვა, თუმცა, მისივე აზრით, ეს საძნელო საქმეა. მაგრამ „ჰამბურგის“ მენეჯერი გიუნტერ ნეცერი ამბობს: „მე მას დავპირდი ადგილს სათადარიგო შემადგენლობაში“. ესე იგი, როცა სოლერი მოჰყავდათ, მისთვის არ უთქვამთ, რომ მაშინვე ძირითად შემადგენლობაში გამოიყვანდნენ. ამასთან, სოლერი იმ უიღბლო ფეხბურთელთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ხშირად ღებულობენ ტრავმებს. თვით სოლერი კი ამბობს: „ნორვეგიელები ფეხბურთელთა ერი არ არიან, მაგრამ მათ დიდად აინტერესებთ ფეხბურთი, კერძოდ, აინტერესებთ როგორ თამაშობენ, მაგალითად, ბუნდესლიგის გუნდები. ამავე დროს, იმატა თვით დასავლეთგერმანელთა ინტერესმაც ჩემი ქვეყნისადმი მას შემდეგ, რაც „ჰამბურგში“ გადმომიყვანეს“. სოლერი, რომელსაც ძალიან გამოადგა ბუნდესლიგაში თამაშის გამოცდილება, ამჟამად კაი-ერიკ ჰერლოსენთან (თამაშობს „ბორუსიაში“) და ჰალვარ ტორესენთან (ჰოლანდიის „ეინდჰოვენი“) ერთად ნორვეგიის ნაკრების მთავარ ძალად ითვლება. ამაში ჩვენც დავრწმუნდით ნორვეგია — საბჭოთა კავშირის მატჩის მსვლელობისას. საინტერესოა სოლერის აზრი ნორვეგიულ და დასავლეთგერმანულ ფეხბურთზე: „ნორვეგიაში ფეხბურთის მატჩში „ჩასართველად“ ხუთი წუთი მაინცაა საჭირო, ბუნდესლიგაში კი თამაში პირველივე წამიდან იწყება“.

სოლერს უფრო სამხრეთელის გარეგნობა აქვს, ვიდრე ჩრდილოელისა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მამამისი ესპანელია. მაგრამ ფეხბურთის სიყვარული მას გადაეცა არა ესპანელებისაგან, რომელთა ქვეყანასაც ხანმოკლე არდადეგებით იცნობს, და, მით უმეტეს, არა მამისაგან. ნორვეგიაში დაბადებული და გაზრდილი ერიკ სოლერი ამბობს: „მამაჩემი ალბათ ერთადერთი ესპანელია მსოფლიოში, რომელსაც ფეხბურთი არ აინტერესებს“.

საკუთარი ინფორმაცია.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

უძლიერესია აბეგა

პარიზის ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი“ ყოველწლიურად ასახელებს აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელს. 1984 წელს „შავი კონტინენტის“ უძლიერეს ფეხბურთელად მიიჩნიეს კამერუნელი თეოფილ აბეგა, რომელიც საფრანგეთის „ტულუზაში“ თამაშობს.

ჟუნიორი, ჩიკინიო, კასტილიო...

1984 წლის სეზონის შედეგების მიხედვით ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია ჟუნიორი, რომელიც იტალიის „ტორინოში“ თამაშობს. მეორე ადგილი დაიკავა მარიო სერჟიომ („პალმეირასი“). ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელად მიიჩნიეს „ბოტაფოგოს“ თავდამსხმელი ჩიკინიო, ხოლო ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს კარლოს კასტილიო, რომელიც სან-პაულუს „სანტოსს“ უდგას სათავეში.

მეკარის აღიარება

კრაიოვის „უნივერსიტატიასა“ და რუმინეთის ნაკრების მეკარე, 28 წლის ლუნგი ამ ქვეყნის 1984 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ლუნგმა ჩინებულად ითამაშა ევროპის 1984 წლის ჩემპიონატში.

„გოლის“ ნაკრები

პრაღის ყოველკვირეულმა „გოლმა“ შეადგინა ევროპის 1984 წლის იდეალური ნაკრები: შუმახერი (გფრ), პინტუ (პორტუგალია), მასედა (ესპანეთი), ბოსისი (საფრანგეთი), კამაჩო (ესპანეთი), რობსონი (ინგლისი), ჟირესი, ტიგანა, პლატინი (ყველა — საფრანგეთი), რაში (უელსი), ელკიაერ-ლარსენი (დანია).

რედაქტორი ა. გოგელია.



ეკრანზე და ეთერში

ტელევიზიისა და რადიოს სპორტული გადაცემები.

ცენტრალური ტელევიზია. 13 იანვარი. რიტმული ტანვარჯიში — **9.30** (2); მსოფლიო თასი ბიატლონში — **12.00** (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში — **18.00** და **22.35** (1); ევროპის ქალთა ჩემპიონატი ციგურაობაში — **21.15** (2);

საქართველოს ტელევიზია. 13 იანვარი. სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში — **16.55.**

საკავშირო რადიო. 13 იანვარი. სპორტული დღიური — **23.40** (1).

საქართველოს რადიო. 13 იანვარი. სპორტის მოყვარულთათვის — **13.30** (2); რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30** (1).

ცენტრალური ტელევიზია. 14 იანვარი. „ვლადისლავ ტრეტიაკი. მონოლოგი მაყურებელთა დარბაზში“. დოკუმენტური ფილმის პრემიერა — **19.45** (1); მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — **20.00** (1); რიტმული ტანვარჯიში — **20.10** (2); ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი: სსრ კავშირი-I — საფრანგეთი — **20.55** (2).

საქართველოს რადიო. 14 იანვარი. სპორტის მოყვარულთათვის — **13.30** (2).

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მარაგე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომპლექსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 6002